

თეატრი

№ 44

საყოველ-კვირბო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი.

№ 44

2 ბიორგოზისტოვს

გაკრიტიკება ყოველ კვირაკობით

1886 წელსა.

ფასი გაზეთი „თეატრი“-სა ერთის წლით..... 5 მან. X სსსუკან წლით... 3 მან. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქც. კონსტანტინე პოლონიისკულ ქარკას. ფოთში ბ-ნი ბესარიონ კალანდარიძესთან.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

აიყიდება: თბილისში: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის სააგენტო კონტორაში, ალიხანოვის პაპი-როზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. ქუთაისში: კილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმაზერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორექსონდენციები, ლექსები და სხვა წერილი წერილები. თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდებიან.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთ თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ კისრულობს.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ სტატიები გარჩევით იყვნენ დაწერილნი.

ყოველ წერილში ავტორებმა მოხსენებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галлерей быв. Арцруни № 110.

პართული თეატრი

კვირგ 2 ბიორგოზისტოვს,

ბანკის (არწონისეულ) თეატრში ქართულის დრამატიუ-ლის სასოკადოების დასიხსასნ წარმოდგენილი იქნება

კოტე ვიფიანის მონაწილეობით:

I

ს ა თ ა ბ ა ლ ა

კომედია 4 მოქმ. და 6 სურათად გ. სუნდუიანცისა.

მოთამაშენი: ქქ. გაბუნია-ცაგარდისა, ს:ფაროკა-ბაშიძისა, ლეონიძისა, ტარაგოვისა; ბბ. ვიფიანი, აწ-ყურელი, ლეჟანტაშვილი, მქსიძიძე, და სსკ.

დასაწყისი სწორეთ 7¹/₂ საათზე.

ბიორგოზია

ვოლტერი

(გაგრძელება.)

ვოლტერს თავის სიტყვის გატება იაფად არ და-ჯდომია. გაიგო თუ არა ჟრიდრიხმა გამოჩინეო პოე-ტის „ხუმრობა“ მაშინათვე ბრძანება მისცა, რომ „ექიმბაში აკაკია“ და კიდევ ბევრი სხვა ვოლტერის სატირები ვოლტერისავე ფანჯრის წინა მოედანზედ ჯალათს დაეწვა ღირს ამბით და ცერემონიით. ვოლტერი ამ აუტო-და-ქეს თავის ფანჯრიდან უყუ-რებდა და რა თქმა უნდა მის მწუხარებას და საზარ-ხეს სამხლეარი არ ჰქონდა და იმავე დღეს გაუგზავნა მეფეს თავისი პენსია. ჯამაგირი, ჯილდოები და კამერჰერის გასაღებიც დაუბრუნა და თან მწუხარებით საესე ლე-ქსიც გაუგზავნა. ფრიდრიხი საზოგადოათ არ იყო მურანი კაცი და თვითონ მიაწოდა ხელიხელ შესარი-

გებლად. მეფე და პოეტი ისეც დამეგობრდნენ, მაგრამ ეოლტერს ესლა გერმანია ჯოჯოხეთითი ეჯავრებოდა და ყოველი ღონის ძიება მოიხმარა, რომ მალე მოზორებოთ თავის «მფარველს», როგორც შემდეგ ფირდრისს უწოდებდა ხოლმე. ეოლტერი გავიდა გერმანიიდან, მაგრამ შვედხაში — ფრანფრუტში მეფის ბრძანებით დაქვრილ იქმნა. ამ შემთხვევამ მთელი ევროპა გააოცა და აღაშფოთა, რადგან ყველამ კარგათ იცოდა მეფის და პოეტის ახლო კავშირი და მეგობრობა. დაქვრის მიზეზი ის იყო, რომ ეოლტერს, თუ მე, ზოგიერთი ფირდრისის ლექსები ჰქონია, რომელსაც ეოლტერი, რა თქმა უნდა, პირველივე შემთხვევაში საქვეყნოდ გამოაშუქარებდა — და კიდევ ამიტომ გასცა ბრძანება ეოლტერს დაეჭირათ და გაეხსრიკათ მისი ბარგები; მაგრამ ფრანფრუტში ეოლტერს ევროპური უბოვეს: — «ა, რადგან მისი ნახევარი ბარგი ჯერ კიდევ ლეიპციგში იყო. ეოლტერი შინაურულათ დაატუსაღეს. სანამ ლეიპციგიდან ბარგი ჩამოუვიდოდა. პოეტმა ვერ მიათმინა ბარგების ჩამოტანამდინ და ერთს მთვარიანს ღამეს დარაჯებს გაექცა, მაგრამ ეს უკანასკნელი მისაწინ დაუხეველობაც სრულებით ამო იყო, რადგან მეორე დღევე ხელახლად დაიბრუნა და იევე უკან ჩამოაქვანეს. სამი დღის შემდეგ ჩამოვიდა ბარგი, მეფის ლექსები იპოვეს და ეოლტერს თავი უფლობა მიეცა. ამ აღიარებასა და დავიდარობამ ისე გააჯავრა და გაანჩხლა ეოლტერი, რომ ერთი კვირა ავად იყო, წამოდგა თუ არა ღებებზედ მაშინათვე მაჰყო ხელი სატირებს და ვერ-ვერობით გამოჯორა ფეოტალი, მეფისაგან დანიშნული მოხელე ეოლტერის დასაქვრათ.

მაგისთანა მგალითები პირველი არ იყო ეოლტერის თავზედ. ყველგან-სადაც კი ეოლტერს უცხოვრებია — უთუოთ ჰქონია შეტაკება ან პოლიტიკათან, ან მთავრებთან, ან სამღვდელობასთან. ეოლტერი ყველგან სცხოვრობდა სადაც კი აღკრძალული არ ჰქონდა. დიდხანს სცხოვრობდა ეოლტერი აგრეთვე გოლანდიში, სადაც დაიბეჭდა მისი საუკეთესო სატირები და ფილოსოფიური წიგნები, რომლებს გავრცელება გერმანიაში და საფრანგეთში სასტიკათ იყო აღკრძალული. ყველა ეს „აღკრძალულებანი“, „კანონები“ და „ხეტილობა“ ერთი კუთხიდან მეორეში, ერთი ქვეყნიდან მეორეში, ეოლტერის მახვილს ჰკუთხას მასალას აძლევდა. აქ უნდა მოვიხსენიოთ ახალგაზდა ქალი დენი, ეოლტერის ძმისწული, რომელიც ყოველს გაჭირებაში და ბედნიერებაში, მოგზაურობაში და ჩვეულებრივ ვაი-ვაგლახში მუდამ თავის «სანატ-

რელ ძასთან « იყო და ძიაც ისრე უმადური არ დაჩქინდა: — შეილოპრიე გრძობა და მის ბედობალებზედ ზრუნვა ეოლტერის ერთს უზარველეს წადილს შეადგენდა.

ბაღას როგორც იყო ეოლტერი, ბევრი ხეტალობის შემდეგ, დაბნეულა ერთს აფილს. შვეიცარიაში ქენევის მახლობლათ, ფერნიაში. აქვეა იწყება ეოლტერის სულ სხვა ნაირი ცხოვრება, სულ სხვა ნაირი შრომა, სულ სხვა ფრა.—

ამ დროს როდესაც ეოლტერი ფერნიაში დასახლდა, ფერნია უბრალო სოველს ჰგავდა, სადაც ხუთი ოღე გლეხის სასლობის მეტი არაუჭირი იყო. მაგრამ ეოლტერის დაბინავების შემდეგ ფერნია დაემსგავსა ნანდილის ქალაქს. ეოლტერმა ისეთი სახლი ააშენა, რომელიც არც ერთს მეფის სასახლეს არ ჩამოარჩებოდა სადიდით და სიმშენიერობით. მართალია, ეოლტერმა დიდძალი ფული დამარბა ფერნიაში, მაგრამ ვე ხაჯვი უნაყოფოდ არ ჩასულა. რამდენიმე ხნის შემდეგ ეოლტერის მეცადინეობით და შრომით ფერნია უბრალო სოფლიდამ შესანიშნავი ქალაქად გადაქცა. ეოლტერმა ბევრი სხვა-და-სხვა სასარგებლო და ღირს შესამჩნევი შენობათა შორის თესტირც ააშენა, რომლის მოწყობილება დეკორაციულის და ექსესუარების მხრით პირველი იყო მთელს ევროპაში. ამ თეატრში ეოლტერის ხელმძღვანელობით თამაშობდნენ გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებს. კორნელის, რასინის, მოლიერის და თეოტონ ეოლტერს პიესებმა სამუდამო ბინა დაიმკვიდრეს ამ თეატრში. გარდა ამისა ეოლტერი ხანდა-სხან სასცენო ხელოვნების ლექციებსაც ჰკითხულობდა, რომელსაც დიდი სარგებლობა მოჰქონდა მაზინდილი არტისტებისათვის. გარდა ამ შენობათა ეოლტერმა ააშენა აგრეთვე ეკლესია. საკვდარი ყოველის მხრით მოწყობილი იყო, მაგრამ წირვა კი ხშირად იმართებოდა, რადგან ეოლტერი და სამღვდლოება მუდმივი ჩხუბში და შეტაკებაში იყვნენ. დასახლდა ეოლტერი ფერნიაში და მაშინათვე შეუდგა შრომას. ყველა მისი ნაწარმოები, რომელიც ეკუთვნიან ფერნის ყოფნის დროს, ყოველად სრულნი არიან. ესლა ეოლტერი უფრო დალაგებული და დადინჯებული კაცი იყო.

ეოლტერი მოხუცდა, მაგრამ სიბერე თითქოს არ უგრძენიო, ჰაბუკური აღტაცება და ყმაწვილური გულწრფელობა არც სიბერით და არც ცხოვრების მწარე ფილის დაღვეით არ შორდებოდა. მუდმივი ხუმარა, ენამჭვერი, ჰკვიანი, ზრდილობიანი, პურმა-რილიანი — უცხო მასპინძელი — აი ეოლტერის განსა-

კუთრებული თვისება. თუმცა ვოლტერი მოზორდა დიდს ქალაქებს ფერწეიაში დაბინავების შემდეგ, მაგრამ აქაც ისეთივე ცხოვრებაში და ფუფუნებაში იყო, როგორც პარიზში, ბრიუსელში, ბერლინში და ტურინში. მისი პატივის მცემელნი ქალნი და კაცნი, მდიდარნი და ღატაკნი, ხარისხოვანნი და უბოლო მომკვდარნი, გვირგვინოსანნი და მდაბიო გლეხები, ყველანი განუჩევილად ვოლტერის სანახავად მოდიოდნენ ფერწეიაში. ყოველ დღეს ოცდაათი, ორმოცსტუმარი უთუთოთ ჰყვანდა. წიგნებით, წერალებით, ბარათებით და სხვადასხვა მიწერილობით დაგუბებული იყო ვოლტერის კაბინეტი. ვოლტერის სიყვარულით და პატივის ცემით ფერწეიაში ბევრი არისტოკრატებმაც აიშენეს სახლი და ამ რიგათ ფერწეია დღე დღეზე მატულობდა სიგრძესიგვანეში, მცხოვრებთა სიმრავლეში და სიმდიდრეში. —

ვოლტერი ამ ხანებში უფრო მტკიცე და ბეჯითია თავის განზრახვებში და მოქმედებაში. იგი უშიშროდ, საჯ. როდ ქადაგებს სიმაართლის დაცვაზე, სიყვარულზე, ნამდვილ ღვთის რწმუნებაზე, ზოგიერთი კანონების უსამართლობაზე, მძლავრობის თავხედობაზე და პარტაგანთა პირვეულობაზე. ყველანი ცახცახებენ მისი მახვილის კალმის წინაშე. ვოლტერის კიცხვა და კილვა შეუბრალებელია. მისი კაცდამი სიყვარული უბოშოა. კაცთ მოყვარება ვოლტერისა და გულ სიხილე სწორედ საოცარია. იგი ყოველს საშუალებას ხმარობს, უმართლოდ დაჩაგრულის და შეუტაცხოფილს დასაცეკლად. ამისი მაგალითები არ, ერთი და ათი ყოფილა, აი სხვათა შორის ერთი მაგალითი: ტულუზაში სცხოვრებდა ერთი 70 წლის მოხუცი, ვინმე ჟან კალასი. ჟანს ხუთი შვილი ჰყვანდა და ყველანი პროტესტანტის სარწმუნოებისა იყენენ, მაგრამ უნცროსმა შვილმა ქათოლიკური რჯული მიიღო; რამ აიძულა ეს ყმაწვილი რჯულის გამოცვლაზედ არ ვინ იცის, ხოლო მან ბავშობიდანვე იჩინა თავი თვისის ურცხობით და გარყენილის ცხოვრებით. მუდამ მთვრალი და ყელამდე ეალში გახლართული ანტონიო ვერაფერი შვილი იყო თავის ოჯახობისათვის... ერთს დამეს ანტონიომ თავი ჩამოიღრა რალაც ვალეებისათვის და ვილაცა როსკიბილიაცისგულისთვის.. მართებლობამ შეუღდა გამოძიებას და მაშინათვე მოხუც ჟანს სტაცეს ხელი, უთუთო შენ მოჰკლავდიო, რადგან შენმა შვილმა ქათოლიკური რჯული მიიღო. მოხუცებულმა შამამ ბევრი ცრემლები ჰღვარა ამ უფასური და უკაცური გამტყუნებაზედ—მაგრამ ყოველივე ამოიყო. სად, ან ვინ იყო სიმაართლის გამგონე? სამჯავ-

რომ მოხუცებულს, 70 წლის მამას გადაუწეიტა სიკვდილით დასჯა—ცეცხლზედ დაწვა. მოხუცებული დედა თავის შვილებით საპრობილეში ჩასვე.—და აქ ჩვეულებრივის მანქანებთ ყველას ქათოლიკური სარწმუნოება მიადებინეს. აი სწორედ ამ დროს ეკუთვნის ვოლტერის გამოჩენილი წერილები რჯულზედ და სარწმუნოებაზედ. ვოლტერმა გაიგო თუ არა ე ამბავი, მაშინათვე შეუღდა კალასის საქმეს. ვოლტერმა მოიძხრო მთელი განათლებული ქვეყანა. მთელი ერობა თხოლობდა ვოლტერის თაოსნობით, რომ კალასის საქმე ხელახლათ გაეჩხრიკათ და მართლაც ტულუზის სამჯავრომ აქმე ხელახლათ გამოიკვია. საქმიდამ აღმოჩნდა, რომ ჟან კალასი ტყვილათ დაუწყვამთ და მიაი ოჯახობა ტყვილად აუოხრებიათ, რადგან ანტონიოს თავის ხელით დაუღრჩეია თავი. ამ გვარად ვოლტერმა, თუმცა აწკალი ბერიკაცს ვერაფერი უშველა და სიკვდილისაგან ვერ დაიასნა, მაგრამ მიელი ოჯახის და გვარობის პატიოსნება და სიმაართლე ისევე ფენხედ წამოაყენა. აი რას ამბობს ვოლტერი ერთა წერილში: «ამ საქმის დროს ჩემს სახეზედ ღიმილს არ ვაუღლია. მე საგანდ მქონდა პატიოსანი ოჯახისათვის პატიოსნებას დაბრუნება და ჩემს თავს უნამუთოდ ჩათვლიდი, რომ უბრალოდ დაჩაგრულს არ დაესაჩლეობდი.»

ვალეო—ია

3. კოშია

პიეზია.

* * *

მტკვარი მოღედავს, ზვირთები
 დუდუნით მოამღურანს,—
 პატარა გროვა ბაჭების
 სურადგან გადმოსტქვიანს.

თვალს უშტერებენ სუბუქად
 თავკეე მიამავალ ტივებსა,
 შორსა აყოლენ ცოცხალი
 მტკველურ თვალის სხაგებსა.

„მტკვარო, ხუ ღედავ! ქარო, შენც
 გრიალი დაიდუნეო...“

3
 ზაყული

ს უ რ ა თ ი

ერთს მიუყუდ ადგილას,
სოფლიდან მოშორებულსა,—
სასაფლაო ზატარა,—

სიტყურთა გარემოცულსა.

მას ერთი გვერდით ტყე ასლავს,

აქოა—კენახ-ბაღები,

იქვე მდებარე მოსახლანი

ტურფა, კველევი, საღებო,

დღისით ისმოდა იმ ტყედაც

სიროთ სხვა-და სხვა სტუკენანი,

ღამით იტყვდა მის არეს

ბუღბუღის მღერა-კენესანი...

როს ღამით მიჰარე მოჭიფინდა

თვისს ბადროკანე სხივებსა

და ია, მისი აშოვი,

მორცხვად მოჭირიდა კისერსა;

როდესაც ცაში ვარსკვლავნი

იწვობდნენ ციმ-ციმ ღამ-ღამსა

და ერთმანეთს ესროდნენ

სამუსრად მითამ ღასკარსა;

როს მისწოდებოდა ხალხთ ფეხა,—

არსით ისმოდა სრიალი

და აქ-იქ ხუთა ფოთლებსი

ისროდა მსოლოდ შრიალი;—

მაშინ მართობდა მგოსანი

სიმღერას, სუადის მომწველულსა,

იწვებდა სტუკენ-კენესასა

ყოველის დარდის მომკვებულსა...

მუნ გვერდით მიწახ-რახებდა

წინათ თამაშით ნაჯადი

და თვისს გარემოს ეტრფოდა,

ჭჭინდა ცეკვა და ნაჯადი...

ჭხარობდა ყოველი გარემო,

ჭხარობდნენ ტურფა მდებარნი,

ჭხარობდნენ ყველა სეები,

ცასა უწვდოდათ წვერონი...

პ. ნ. ვ. ლ. ი

ხალხური პოეზია

(ქართლში გაგონილი)

ადგა წავიდა სოლოღან, დადგა სტამოლის ცხასკედა,
შეიდა დღე-ღამე იარა, ისე გავიდა ზღუასკედა,

სონთქარის კარზედ მივიდა, გეხარა დასვდა კარზედა,
შეინატყა საღებო დასვა საღებო თაქსკედა.

„სოლოღან რისთვის გარჯილხარ ამ დიდი სონთქარის
კარზედა?“

„—რა მოგასვენო, ბატონო, საჩივარი მაქვს წამსკედა.“

„სოლოღან მიუღიებენ ჯარითის გასროლასკედა,

ერთი არაბი ხეხტა გუგას, გათქმული ქვეყანასკედა.

თუ შენ იმას ეჯიროთო თუშობს დაგადგენ თაქსკედა;

ფაშობასაც დაგემტყიცებოთ იმ სასაღებოსის კარზედა!

„—მე ჯარითის რაქვიცა, გავსიღებო გურჯის მთასკედა.“

„არ შეშებოან, სოლოღან, გავიყვანე სხალ თუ შეგა.“

„—რასან არ მამე ბიან, ასე ი ცხენი მამე გარეთ, არცხელს
ქვეყანასკედა,

ედგას ოქროს უხავიჩა, აღმასა ეტკოს თაქსკედა;

შეიდა მეჯინიბეს ექირას, ისეკ დგებოღეს კალსკედა.“

ორ-შეფათ დილა გათენდა, გავიდნენ შეიდანსკედა.

მოდის, მოხეის არაბი, ვით შავრდანი ცასკედა,

ტურფათ მოაქნეს ჯარითის იმ გაშაგებულ მკვლასკედა.

არაბულათ წამოსკვივდა, სონთქარი შესძრა ტანსკედა:

„აბა გამეჭე; სოლოღან, სიმა ჯარითის კარასკედა!“

გაჭკა, გაჭკა სოლოღან, არაბი მისდევს კვლასკედა,

ამი ჯარითი ესროდა, ერთი არ იყრა ტანსკედა.

„—ასლა, არაბო გამეჭე ერთი ჯარითის კარასკედა;

მე ერთის მეტსა არ გესკარი, აი დეთის სამართლებსკედა.“

გაჭკა, გაჭკა არაბი, სოლოღან მისდევს კვლასკედა,

ერთი ჯარითი შესტეორცნა, დასვა ბუქის ფრთასკედა.

არაბმა გადმოიწია, დადგა ცალ უხანგოსკედა:

არაბი მისს გადმოყარდა, სული ამოსდა წამსკედა.

სოლოღანი დაიბარეს, ფეხები მაქვს განსკედა,

„აღა, აღა გურჯი, ყოზაღ, ქისებს ახერტენ თაქსკედა.

დასასტეჭეს, გაისტეორცნეს, შესიეს არაბის ცხენსკედა.

გასტანგ შეფე წამომანდა, თან წამოყვა დიდი ჯარი.

ატენის ბოლოს მოკადნენ ამოდენს ღენათ მოვრანნი,
გორიჯვარში ხამობანდნენ, არ ილოცეს გორი ჯვარი.

სედეკლასკედა შეიბენ ოსმალო და თუმის ჯარი:

შესვლასკედა მოკლეს სიმოცი, ადინეს სისხლის ღვარი.

„ამ ოსურმა გიორგიმ რაზედ ამოგდო გვარი,

ან შეიღმა, ანუ მამამ რაზედ დაისოცეს თავი?

გადადებულმა ცხრა მოკლა, მერმე იმას მოსტყეს თავი.

დედას გაცი მიუიდა, ვალადებულ მოკვასს მკვდარი.

„გაბი, შეილო ვალადებულო, ვინ შენა და შენა სმალი!

შეილო ქორწილს გიპირებდი, უნდა მომეყვანა რძალი;

ცასტი შევჭკარ ხალხადისა ოქრო-მკერდით მოქარგული,

სედ ბატონი რძალი დაესვი. იალქანით შეგახმული.

იწილანმა გაიგონა, გაიშალა გიშრის თმანი;

ონასანუი გაიგონა, თავს დასისა ქაღალს კიარი.

(შეგრებილი ანასტასია თავდგირიძისაგან)

ჰორაციო,

ბატონო ჩემო, მოთმინეთ, აქ ვიღაც მოდის.

(შემოდის ოსრიკი.)

ოსრიკი.

ნება მიბოძეთ, სულმოიფუო ჩემო, მოგილოცოთ და ნინაში კეთილად დაბრუნებას.

ჰამლეტი.

უმიდალესად გმადლობთ, სულმოიფუო ჩემო. — იცნობ, ჰორაციო, ამ კრიკინას?

ჰორაციო.

არა, ბატონო, არ ვიცი.

ჰამლეტი.

ნეტავი შენ, რომ არ იცნობ. მაგისი ცნობა სინცხილია. მაგას დიდალი მამული აქვს და ჩინებული მამულიც და ეს ხომ ასეა: თუნდა მხეცი იყო, ოღონდ სხვა მხეცების ჰატონად ითვლებოდა და შენს ასურს მეფის სუფრასთან გამოსჭიმენ. ეგ თუმცა კილევიკია, მაგრამ მრავალს მტკუნს და ტლანს ჰატონობს.

ოსრიკი.

მოწყალეო ბატონო, თუ თქვენს უმიდალესობას დრო და უბი აქვს, უნდა მოგასხენოთ რამ, დიდბულის სულმოიფუისაგან დაბრუნებული.

ჰამლეტი.

ბრძანეთ. მე მოგისმენთ სრულის ჩემის უურადლებით. — რატომ ქუდს თავის დანიშნულებას არ ასრულებინებთ? ეგ ხომ იმიტომ არის გაკეთებული, რომ კაცს თავზედ ეხუროს.

ოსრიკი.

გმადლობთ, თქვენო უმიდალესობა, მეტადა ცხელა.

ჰამლეტი.

რას ბრძანებთ? ძალიან ცივა და ჩრდილოეთის ქარიც უბრუნავს.

ოსრიკი.

დაი, მართლა, რომ სჯამოდ ცივა.

ჰამლეტი.

მაგრამ მე ისე შესწავლა, თითქო შესუთული ჰქარი და სიცხაა. ან იქნება, ჩემი აგებულება...

ოსრიკი.

სწორედ ნამდვილსა ბრძანებთ, შესუთული ჰქარია — თითქო — არვიც რას დაჯამრავსო. — ბატონო ჩემო, მათმა დიდბულებამ მიბრძანა, მოგასხენოთ, რომ თქვენის გულისთვის ისინი დიდს ნამდვილსა სდებენ. ესა მქონდა მოსასხენებელი.

ჰამლეტი.

(ცდილობს ქედი დაახურვინოს.)

ნუ დაივიწყებთ, რაც გითხარი.

ოსრიკი.

არა მიჭირს-რა, ჰეშმარიტად ასე მიჩვენებან. — დიდხანი არ არის, ბატონო ჩემო, რაც სხსსლეში ღაერთა უიხლათ. ეს უმაწილი-გაცა, ნება მიბოძეთ მოგასხენოთ, ჩინებულად გაზრდილია, შემეული მრავალს სხვა-და-სხვა ღირსებით, ზრდილობიანი და შენეირის სხსსლობისა. სამართლიანად უნდა ითქვას, იგი დლიურად საუბრებელი წიგნია ჩვენთა დიდგანთათვის; მასში გამოხატულია უოკულიკე ღირსება, რაც კეთილად აღზრდილს დიდის-კაცის-შილს უნდა ჰქონდეს.

ჰამლეტი.

თქვენთა ბავთ იმის წარმტება უკლებლად აღზრდეს, თუმცა ამ აღზრდესა შეეძლო შესიერების ანგარიში სრულად დაუნა და მანც უკან ჩამორჩენოდს იმის ნიჭიერებათა აღფრთოვანებას. ნამდვილად მოგასხენებთ, რომ მე იგი სულ-დიდ აღმახად მიმანნა და ისეთის ძვირფასის ღირსებით აღსავსე, რომ სამართლიანად ითქმის: მისი მზგავსი მსოლად იმისივე სარკესა და ვინც მისდამი მიბამას მოინდომებს, იგი მსოლად იმისი ჩრდილი შეიქმნება.

ოსრიკი.

თქვენმა უმიდალესობამ უნაკულად განსჯა იგი.

ჰამლეტი.

საქმე ბრძანეთ; ბატონო ჩემო. რისთვის განსკუთვამ უმაწილ-კაცს ჩვენის სუნიოქის სამ სამოსელში?

ოსრიკი.

არა მიბრძანეთ?

ჰორაციო.

რატომ გასაგონის ენით არა ბრძანებთ?

ჰამლეტი.

რისთვის დაიწვეთ იმ ემსწვილ-გაღმად ღამარაგი?

ოსრიკი.

ლაურტსედ?

ჰორაციო.

ქისა შეუსუსტდა, ოქროს სიტყვები ეწევა შემოე-
ხარჯა.

ჰამლეტი.

დაიღ, იმასედ.

ოსრიკი.

მე ვინა რომ თქვენ გაგებული ბრძანდებით.....

ჰამლეტი.

მე მისარაინ, რომ ეგ თქვენ იცით, თუმიც მავით
ვერსფერი შემემატება. მერე?

ოსრიკი.

თქვენ, ბატონო, გაგებული გეჭმნებათ ლაურტის
სიამარჯვე....

ჰამლეტი.

მე მაგას ვერ ვიტყვი: რადგან არ მინდა კეხნაში
ჩამომართვას ვინმე, ვითომ მე მას სიამარჯვეში ვედილე-
ბოდე. გაცი სსკას გარგად ვერ გაიხრახბს, თუ თავის
თავსაც არ იცნობს.

ოსრიკი.

მე, ბატონო, იარაღის ხმარებსედ მოგახსენებთ;
როგორც ხალხს ღამარაგობს, ამ სჯუანში იმას ბადელი
არაინა ჰყავს.

ჰამლეტი.

რა იარაღის ხმარობს?

ოსრიკი.

დაშნასა და ხანჯალს.

ჰამლეტი.

მაშ სჯობს ასე ვთქვათ, როგვარ იარაღს ხმა
რობსო. მერე?

ოსრიკი.

ხელმწიფემ იხება და სანამლეოდ დასდვა ექსი არა-
ბული ცხენი და ლაურტ კი სამაგეოდ სდებს, რო-
გორც ვცანი, ექვსს წვეილს ფრანგულ დაშნა-სანჯალს
თავიანთ მოწუობილობით: ჭამით, სათრეულათი და სსკა-
ნი. სამი სათრეულა მინც შვენიერი რამ არის. შეს-
ფერი იარაღის ტარისა და თავისუფალის გემოვნებით
შეჭმნილი.

ჰამლეტი.

სათრეულას თქვენ რას უწოდებთ?

ჰორაციო.

მე ვიცოდი, რომ ვიდრე მაგასთან ღამარაგი გა-
თავებდით, სხოლი უები დაგუწოდებოდათ.

ოსრიკი.

სათრეულა, ჩემო ხელმწიფემ, ხმლის ჩამოსავიდი
კასლავთ.

ჰამლეტი.

ეგ სახელი მაშინ იქმნებოდა შესაფერი, ხმლის მაგეო-
რად რომ ზარბაზნები გვეკადოს ვერდხედ მინამდის
კი, მოდა ისეუ ხმლის ჩამოსავიდი დაწესს. მაშ გერე:
ერთის მხრით ექსი არაბული ცხენი და მეორეს მხრით
ექსი ფრანგული საჭურველი თავის მოწუობილობით
და სსმიც თავისუფალ გემოვნებით შეჭმნილი სათრეულა.
ეგ სომ ფრანგულისა და დანურის სანამლეოს ცილობაა.
რა სთქვით თქვენ, სანამლეო რამ გამოიწვია?

ოსრიკი.

ხელმწიფემ იმასედ იხება სანამლეოს დადებს, რომ
ლაურტი თქვენ თორმეტში სამხედ მეტს ვერ დაგვარავთ და
ის კი ცხრავერ დავერას იჭადის, თუ თქვენის უმაღლე-
სობის ნება იქმნება, ამ საჭმეს ესლავ შეუდგებიან.

ჰამლეტი.

მე რომ უარი ვთქვა?

ოსრიკი.

მეც ის მოგახსენეთ, ხელმწიფეო ჩემო, თუ თქვენ
წინ არ აღუდგებით ამ სანამლეოს მეთაი.

ჰამლეტი.

კარგი, მაშ მე ამ დარბაზში ვივლი. მათის დიდებულის ნება-დართვით, ესლა ჩემი დასკვნების დროა. დასწები მოატანინონ და თუ იმ ემაწვილს კადეკ სურვილი აქვს და მეფესაც არ გამოუტყვია თვისი განზრახვა, გეტყვი, სანამდე მოვუგო. თუ საქმე კარგად ვერ მომხდა, მე მოვიგებ მხოლოდ ჩემს შერცხვენას და რამდენისაქ დაშნის ნაკრავს.

ოსრიკი.

მაშ კვრე მოგახსენო?

ჰამლეტი.

აწრი ეგ არის და თქვენ იცით, სიტყვით რა-გორც გააშენიერებთ.

ოსრიკი.

ნუ მოემშაღოს, ხელმწიფეო ჩემო, ნურაოდეს თქვენა წყალობა.

(გადის.)

ჰამლეტი.

გმადლობთ, გმადლობთ.—კარგად ჩადის, რომ თითონვე ზრუნავს თავის თავისთვის, თორემ ერთს კაცსაც ვერ იშოვი, მაგის სისარგებლოდ სმა ამოიღოს.

ჰორაციო.

სწორედ წიწილასა ჭკავს, რომელსაც ჟურ კადეკ კერტისა ნაჭყლა სწულად ვერ მოუშორებია.

ჰამლეტი.

ეგ ბავშობისას რძესაც ვერ მოსწოვდა ისე, რომ ძუძუსთვისაც კი ქება-დიდება არ ეთქვა. ეგ და მრავალი მაგის მსგავსნი, რომელთაც ეს წამხდარი საუკუნე სწყალობს, აწყენენ დროების ჭკავს, შეითვისეს მხოლოდ მისი გარეგანი სახე—და მსგავსად შეუსუნა სასმელისა, უპტივეტეულნი არიან საუკეთესო საზოგადოებაში. მაგრამ ახა გამოსადეგად შეუბრუნე და ნახავ, რომ ეს გარეგანი ბრწყინვალეობა სანინის ბუშტებივით სანჭაროდ განჭჭრება.

(შემოდის ერთი დიდებული.)

დიდებული.

ბატონო ჩემო, მათმა დიდებულებამ განხლათ ახალგაზდა ოსრიკი, რომელმაც ამბავი მოართვა, რომ

თქვენ ამ დარბაზში ელით მათს განკარგულებას. ესლა მე მიბრძან ეს თქვენთან განხლოთ და მოგახსენოთ, გაჭკოთ სურვილი ამ უამადვე შეებათ ლაქტის, თუ სხვა დროსთვის გადადებს ინებებთ?

ჰამლეტი.

მე შტეიტედ ვადგავარ ჩემს განზრახვას და ეს განზრახვა ხელმწიფის სურვალს ემორჩილება. თუ ამ უამად იმათთვის კარგი დროა, მეც მზადა ვარ. ჩემთვის სულ ერთია, ესლა იქნება თუ მერე, აღონდ იანადის ხმალება მერე ესლანდელივით შემემღოს.

დიდებული.

ეველანი აქ მობრძანდებიან: ხელმწიფე, დედოფალიც და ამლანც.

ჰამლეტი.

მობრძანდენ.

დიდებული.

დედოფალსა სურს, ვადრე ერთმანეთს შეებოდეოთ, ლაქტის რამდენიმე მეგობრულა სიტყვა უბრძანოთ.

ჰამლეტი.

ეგ რჩევა სისამოუნო რჩევაა.

(დიდებული გადის.)

ჰორაციო.

წავებთ ამ სანამდელოს.

ჰამლეტი.

მე არა მგონია. მას აქეთ, რაც ის საფრანგეთში წავიდა, სულ მუდამ ვარჯიშობაში ვარ და ჩემის ანგარიშით მე უნდა ვაჯობო. მაგრამ ვერ წარმოადგენ, ჭირაციო, გულის რა რიგი დარდი შემამაწვას, თუმცა ამითი არა უჭირს-რა.

ჰორაციო.

თუ კრეა...

ჰამლეტი.

უბრალე ფიჭრება, სისხვა არაფერი, თუმცა ამ გვარ წინად-გრძნობას დედაგაციის შესწება შეუძლიან.

ჰორაციო.

თუ გული რაზედმე არ გერბით, არ უნდა გაუ

ჭირვეულებით. წაქალ, კეტევი, ნუღარ მოკლენ, შეუძლო-
და ბრძანდება მეთქი.

ჰამლეტი.

არამც და არამც არ წასვიდე. მე წინაღ-გონობუ-
ბისა არ მეშინიან. სომ იცი, ჩიტიც კი უტანებოდ არ
მოკვდება. თუ ესლად მოხდება, მეც სომ აღარ იქნება-
რა; თუ მეც არ იქნება, სომ ესლად უნდა მოხდეს; და
თუ ესლად არ იქნება, მეც სომ მანც არ აკვდება. საქ-
მე ეს არის—ყოველთვის მზად ნდა ვიყო; და რაკი
კაცმა არ იცის, თუ სიკვდილით რასა ჰკარგავს,—
რას მოხდება, რომ ეს უცნაური საქონელი პატარა ადრე
დაჰკარგოს!

(შემოდან ხელმწიფე, დედოფალი, ლაერტი, დი-
დეზუნდი, ოსრიკი და მსლეტელი, რომელთაც და-
შნები მოაქვთ.)

ხელმწიფე.

აქ მოდი, ჰამლეტ, ჩაიბარე ეს ხელი ჩემიან!

(ხელმწიფე ლაერტსა და ჰამლეტს ერობანეთ ხელს
მიაცემინებს.)

ჰამლეტი.

ბრალი მიმიღვის, ლაერტ, შენთან, — მოტყუებას გთხოვ.
მე ვითხოვ შენგან მოტყუებას, ვით ვაყვარისგან.
მთელმა ამ კრებამ იცის და შენც გაგეგონება,
გონებას სენით საშინელით ცამ ვით დამსაჯა.
რას საქმიანად კი მე შეუბღალე ბუნება შენი,
შეუბღალე შენი სახელი და პატიოსნება,—
მე აქ ვაჩნდა სანაქონად რომ უოკლს ამ საქმეს
მიზენად მხოლოდ ჰქონდა ჩემის გონების შეშლას.
ჰამლეტმა ლაერტ შეურაცხ-ჰყო? არა, არას დროს.
როდესაც ჰამლეტ ის არ არის, რაც უნდა იყოს
და შეურაცხ-ჰყოფს იგი ლაერტს ესრედ შეგვლილი,—
ამის ბრალს ჰამლეტ ვერ იკისრებს. ეს ბრალი უნდა
იმის სიგიჟეს ვისრად დაედოთ. თუ ეს ასეა,
თვითონ ჰამლეტიც გულ-ნატყენთა დასმი ჩასთავლეთ,—
საბრალდო ჰამლეტს მტრად ჰყოლია თვისივე სიგიჟე.
ამხად ბრალი ამ ბრწყინვალე კარის წინაშე;
ნუ ირწმუნ, ვითომც განზრახ ცუდი რამ მომეჭმადოს
და დაჰკარე, ლაერტ, შენი მალაღი სული,
რომ მე ისარი გადატყუარცნუ სასახლის ბანსა
და იგი ჩემდა უხილავად ჩემსაჲ მძას მოხვდა.

ლაერტი.

ჩემი ბუნება დამიწინარდა, თუმიც ამ საქმეში
უფრო ის უნდა მაჭეხებდეს შურის-ძიებად.
მაგრამ ვით ითხოვს ვაყვანო წესი, მე შორს გავედგები
და შეიკებას უარსა ვუყოფ, ვადრე უფროსნი,
პატიუნიკულნი და განთქმულნი გამოცდილებით
თვით არ მეტყუიან: „შეიგდიო“. მაშინ ეს სიტყვა
ჩემსა სახელს დაიფარავს შერცხვებისაგან.
იმ დრომდე შენი სიუვარული მე მიმიღია
და უარ-ყოფას მაგისას გულის არ გავიტარებ.

ჰამლეტი.

სამოკუნებით მესმის ეგ მე. მაშ ჩვენ ამ უმად
ძმურად შევიბათ სახაძლეოს მოკვებისათვის. —
ჩჭარა დაშნები მოიტანეთ. — აბა, დავიწყოთ.

ლაერტი.

კარგი, დავიწყოთ. — ერთი დაშნა მეც მომაროდეთ.

ჰამლეტი.

ლაერტ, ამ შებებით შენს შვერებას შევამტებ მხოლოდ:
უხერხულობა ჩემი მოჭყენს უფრო ნათელს შეუქს
შენს ხელგონებას, ვით ვარსკვლავსა მწყედიადი ღამე,

ლაერტი.

რისთვის დამცინი?

ჰამლეტი.

არ დაგცინი, ვფიცავ მარჯვენას.

ხელმწიფე.

ოსრიკ, მიახთვი მათ დაშნები, — სომ იცი, ჰამლეტ,
რას სახაძლეოც დავაწკეთ.

ჰამლეტი.

ვიცი, ბატონო,
თუმიც ამას გატყუით, რომ თქვენ სუსტის მხარე გი-
ჭირავთ.
ხელმწიფე.

არ მეშინიან მე მაგისი; ორივეს გიცნობთ;
და რადგან იგი ამ ბოლოს დროს მეტს ვარჯიშობდა,
ჩვენ ვეცადეთ და ორთაჲ მხარე ვავათანაბრეთ.

ლაერტი.

ეს შამე არის; სსვა მჩვენეთ.

ჰამლეტი.

ეს სელში მომწონს.
სომ უგულა ერთის სიგძისა?
(სარძოლეულად ეზადებთან.)

ოსრიკი.

დაწლ, ბატონო.
ხელმწიფე.

დვინით ახსუთ ფიალები და აქ დამიდვით.—
თუ ჰამლეტ დაჭრავს ან პირველად, ანუ მეორედ,
ანუ მესამეს ჰასუსს უგებს, მამის ციხიდან
ასტესონ სროლა წარბაზნების; თვითთონ ხელმწიფე
დალუეს ჰამლეტის სადღეგრძელოს და ძვირფასს თვალსა,
ისეთს, რის ცალიც მათ გვირგვინში ოთხს უკანასკნელს
ხელმწიფეს დიდის დანიისას არა ჰქონია,—
ჩააგდებს იგი ფიალაში.— ფიალა მეთქი!
წინწილების ხმას ბანი მისცეს საყვირის ხმამა,
საყვირმა კიდევ შესარბაზნეთ შეატუობინოს,
წარბაზნის სროლამ ცას აცნობოს და ცამ ჰეუენას,
რომ ჰამლეტის სადღეგრძელოს მეფე მიერთმეეს.
დაიწყეთ.— და თქვენ, მსაჯულებო, ადევნეთ თვალი.

ჰამლეტი.

აბა, მობრძანდი.

ლაერტი.

მისად გასლავარ. (იბრძვიან.)

ჰამლეტი.

ერთი სომ დაგვარ,

ლაერტი.

არ მომსუდრია.

ჰამლეტი.

მსაჯულთ საჯონ

ოსრიკი.

მოხვდა წამდვილად.

ლაერტი.

კარგი. ხელსლად კნადლო, აბა.

ხელმწიფე.

აჟერ შეიტადო.

მომეცით ღვინო.— შენი არის, ჰამლეტ, ეს თვალი.
შენს სადღეგრძელოს ესვამ ამ ჭიკით.—
(საყვირის ხმა. გარეთ ზარბაზნებს ისვრიან.)

მართვით ჰამლეტს
ესე ფიალა.

ჰამლეტი.

მე რეიყოს, ჯერ გავათავო.
აბა, კვლავ ვცადოთ. იმდენი ობობობი
— სცდოიგო (იბრძვიან.)

მოგსვდა კიდევ, უაჭს ვერ მეტევი.

ლაერტი.

მართალი არის, მომხვდა სწორედ

ხელმწიფე.

ჩვენი ძე სჯობნის.

დედოფალი.

მძიმეა იგი, დაიღალა და ძლივს-ღა სუნთქავს.—
აქ მოდი, შუბლი შეიწმინდე ამ სელსანოცით.
დედოფალი სვამს, ჰამლეტ, შენის დღეგრძელობისთვის

ჰამლეტი.

დიდდა გმადლობ, დედაჩემო.

ხელმწიფე.

ვერტრედავ, ნუ სვამ...

დედოფალი.

უნდა დაჯლიო. გთხოვთ, ბატონო, ნუ ამიკრძალავთ.

(სვამს.)

ხელმწიფე.

(იქით.) ეს მოწამლეული ფიალაა. გვიანდა არის.

ჰამლეტი.

აჟერ ვერ გავბედავ მე დალუესს. მასუგან დალუე.

დედოფალი.

მოდი აქ, სახე შეგიწმინდა.

ლაერტი.

ბატონო ჩემო.

ესლა გე დაგვრავ.

ხელმწიფე.

მე მკონია, გავიძნულდება.
ლაერტი.

(იჭიბო.) ამ საქმეს თითქმის სინიდიისი ჩემი უარობს.

ჰამლეტი.

მესამედ ვცადათ, ლაერტი, გადევ. შენ თითქმის სუძრობ.
გონობე, ყოველივე მოიხმარო სურსი და ძალი,
მე შეშინიან, კვ ცელქობით არ მოგდიოდაც.—

ლაერტი.

ეგრე გგონიან? ვარგი, ვნახოთ. (იბრძინან).

ოსრიკი.

ორივეს ასცდა.

ლაერტი.

ესღა სომ მოსვდა.

(ლაერტი დასჭრის ჰამლეტს. ჩხუბში და არეულობაში დაშნებს დასცვლიან და ჰამლეტიც ლაერტს დასჭრის.)

ხელმწიფე.

გაშეკულოთ. მეტად გაცხარდენ.

ჰამლეტი.

კვლავ მივეოთ ხელი.

(დედოფალი დაეცემა.)

ოსრიკი.

მეშეკულოთ ჩქარა დედოფალს —

გულს უწუხდება.

ჰორაციო.

ოწსავ მებრძოლს სისხლი ჩამოსდის.—

ბატონო ჩემო, როგორა ხართ?

ოსრიკი.

(ლაერტს.) თქვენ როგორა ხართ?

ლაერტი.

მე ჩემს დაგებულს მახეშივე თავი გავიბი
და რაც რომ სხვისთვის განვიზრახე მოღალატობით,
სამართლიანად მისჯობს იგი თვით მე სიცოცხლეს.

ჰამლეტი.

როგორ ბრძანდება დედოფალი?

ხელმწიფე.

სისხლის დანახვამ

წაუღო გული.

დედოფალი.

არა, არა, ეს სასმელმა ჰქმნა.

ოჰ, შეიღო ჰამლეტი, იმ სასმელით მოვაწამლე მე.

(ჰავდება.)

ჰამლეტი.

ოჰ, აგვაცობა? გადაჰკეტოთ ეველს კარები.

აჰ დალატია, უნდა იგი მოგახსოთ ეველსან.

ლაერტი.

აჰ არის იგი, ჰამლეტი, ჰამლეტი და შენც მკვდარი ხარ;
ვერა წამალი ვეღარ გისხისი სიკვდილისგან;
ნახევარ-სათის რომ იცოცხლო. ისიც ბუკრია.

სელთა გიპყრია შენ ამ უამად ის იარაღი,
რამაც გვიმუხთდა; მოწამლეული, შუბიკით მკვირი.
სომ ხედავ ჩემი ბოროტება მევე გადაძნდა
და აჰ გწეარ სასიკვდილოდ გადადებულნი.
მოწამლეულია დედამეტიც... ღალატმაქს ღალატ ...
ხელმწიფე აის დამნაშავე ყოველისფერში.

ჰამლეტი.

მოწამლეულია ეს დაშნაცა! — მამ, საწამლავო,
ჰქმენ შენი საქმე!

(ხელმწიფეს დაჰნას ჩასცემს.)

ყველანი.

ოჰ, დალატია, დიდი დალატია!

ხელმწიფე.

მომეშეკულოთ, მეგობრებო, მე დამჭრა მხოლოდ.

ჰამლეტი.

ოჰ, გაცის-მკვლელო, დაწვეკვილილო, სისხლის-შემრეო!
აჰ, დალატია! შიგ იპოვი შენს ძვირფასს თვალსაც.
დედინემის კვალს გაჰყე შენცა!

(ხელმწიფე ჰავდება.)

ლაერტი.

მაგისტრის კბ

სამართლიანი უღუფავა. კვ საწამლავი

თავის სელითვე შეამოსდა.— ჰამლეტ, მე და შენ ერთმანეთს უნდა მივუტეოთ. ნუ მოგპოვითსო ნურც მამიკემის სიკვდილი შენ და ნურცა ჩემი და შენც შემინდე შენი სისხლი.

(ჰავდება.)

ჰამლეტი.

შეგინდოს ზეცამ; მეც ესლავ მოკდე.— ჰორაციო, რეკლები, მიუდივარ.— მშვიდობით შენცა, დედოფალო, სწყვალადელო.— თქვენ, ვინც აქ დგასართ ფერ-მკრთალნი და მრწით ამ ამბითა,

ვინც უსიტყვოდა მოწმობთ ამ საშინელებას,— უამი რომ მქონდეს... ოჰ, სიკვდილი მკაცრი ყოფილას, მზგავსი მივინვარე ტისის-მცველის... მე ვიამბობდი... მაგრამ დაკესსნათ... ჰორაციო, რეკლები და მას გთხოვ, შენ იცოცხლე და შეასმინე ჩემსედ ნამდვილი, ჩემი ამბავი უთხარ ვეკლას, ვინც კი მოისმენს.

ჰორაციო.

ახა, რას ბრძანებთ? ვიდეუ დარსა აქ ფილასში... მე ძველს რომელს უფარა გეტარ, ვიდეუ დანელს!

ჰამლეტი.

გაფიცუბე შენსა გავ-გატობას, მომეც ფილას. მომეცი მეთქი! ზეცას ვფიცავ, არ დაგანებებ. ოჰ, ჩემო გარტო ჰორაციო, რა საზიზღ სასელს დაუტოვებ, თუ კი ეს ამბავი არ ახსნებ. მამ თუ როდისმე გეკარებავარ, რამდენიმე ხნით განშორდი მედმივს ნეტარებას, იცნოვრე ტანჯვით და ამ გრუელს მიწას მიმოტყინე ჩემი ამბავი.

(მოისმის შორიდან მარში და ზარბაზნების სროლა.)

ეს რა ხმა არის? ომისას ჰტავს.

ოსრიკი.

ინგლისის ელჩებს საომარ სალამს უძღვნის ამით ჰრინტი ფორტინბრას, გამარჯვებითა ზოლონიდამ დაბრუნებული.

ჰამლეტი.

ოჰ, ჰორაციო, იმ სასმელმა სრულად შემსუთა. მე ვერ ვიცოცხლებ ვიდეუ იმდენს, რომ ინგლისიდან მოტანილ ამბებს ყური მოკვრა, მაგრამ კი გეტყვი, რომ არჩევანი უნდა ერგოს სწორედ ფორტინბრასს. მეც ჩემს მომიკვდავს ხმას მას ვაძლეე. ეს ასე უთხარ

და მიზეზებიც აუხსენ, მას რად ვამეობინებ. სხვა რადა დამონა? საუკუნო სიჩუმე მსოფლოდ.

(ჰავდება.)

ჰორაციო.

ჩაქტა დამზარი დიდებული! მშვიდობით ჰრინტო; ანგლოზთ დასთა განგასუენონ ტებილის გალობით.— სიღამ მოისმის ასე ახლო დაფდაფების ხმა?

(გარეთ მარშს უგრუნ. შემოდინ ფორტი ინბრასი, ინგლისის ელჩები და სხვ.)

ფორტინბრასი.

ახა სად მოხდა ეს ამბავი?

ჰორაციო.

რა გნებათ, ნახოთ? თუ ეძებთ რასმე საკვირველსა, ან სამწესაროს, შორს ნუღარ წახვდით, აქ ვახერდით.

ფორტინბრასი.

რა საშინელი

სახასავია! ოჰ, სიკვდილო ამპარტავანო, შენს საუკუნო სადგომში რა ნადიმს იმართავ, რომ ერთის დაკვრით დავიღუპავს ამდენი ჰრინტნი?

პირველი ელჩი.

სწორედ საზარელს ამბავს გხვდათ.— დაგვიგვიანდა, ინგლისის მიერ მონდობილსა ვერ შეკასრულებთ. უქმნი არიან იგი ყურნი, რომელთაც უნდა მოესმინათ, რომ ნაბრძანები აღსრულდა მათი, რომ როზენგანტი და გილდენსტერნი მკვლარნი არიან. ამის მადლობას ვილა გეტყვის?

ჰორაციო.

ის არ გეტყვდით, ვისგანც ელოდით, მადლობის თქმაც თუნდ რომ შეეძლოს.

მას სრულიადაც მათ მოკვლა არ უბრძანებია, მაგრამ სჯობს ისე დაუბრუნდეთ ამ ბედშივ საქმეს. რაკი ზოგნი ხართ აქ მოსულნი ინგლისის ქვეყნით, ზოგნი ზოლონიდამ ნაომარნი,— მის განსაგებად, ბრძანეთ, რომ გეამნი გამაწყონ მაღალს ადგილს და მე ყველაფერს გავუძღვანებ უმეტარს ერსა,

თუ ეს ამბავი როგორ მოხდა. მშინ გაიგებთ, სისსლის-შემრეუთა, უბუნებოთ, აგვანთ მოთხრობას, განსამართლებას უცაბედსა, შემთხვევით სიკვდილს, კაცთ-კვლას ბოროტის მანქანებით, ძალდატანებით, ბოლოს განზრახვას ჯოჯოხეთურს, თვით მომკონთ თავსედ რისხვით მოსუულს—მე გიამბობთ უველას სიამართლით.

ფორტინბრასი.

ახა საჩქაროდ მოკეპსადოთ და მოკისმინოთ. უხმეთ დიდებულთ, აქ დაუსწრენ. მე მოწუხარებით ჩემს ბედის-წილს უნდა ავეყვ; ამ სამეფოზედ მაქვს რამ უფლება და კაცნადებ ამას საჩქეუნოდ.

ჰორაციო.

მე მაგაზედაც სათქმელი მაქვს. უნდა გაუწყოთ, რომ თქვენ იმანაც აღვირბით, რომლის მძლავრსა ხმას, მოწიწებითა მოისმენდა მთელი სამეფო. მაგრამ დასჩქარდით, შეასრულეთ ესლავ ეგ აზრი,

ვიდრე მღელვარე არის ხალხი და ბოროტება ვერ იმოქმედებს სერსით, ანუ სხვა მანქანებით.

ფორტინბრასი.

უბრძნეთ, ოთხმა ასისთავმა ჰამლეტის გვამი მძლავრსა აცაგნეს ასეუენონ, როგორც სარდალი. მას რომ სულწიფედ ტახტზედ ჯდომა დასცაგლებოდა, ეტვი არ არის, განაგებდა დიდებულებით. დამარხვის ყამსა მას მიაგონ მსუდართ ჰატიავი და სამარეზედ მიაცილონ გლოვის მუსიკით. უბრძნეთ ვიდრე, გაასვენონ ეს გვამნიც გარეთ. ამ გვარს სანახავს ბრძოლის კული უფრო შემევენის, ვიდრე დარბაზი დიდებული. ჯანსაყ აცნობეთ, რომ მიცნალებულთ ჰატიავი-სცეს ზარბაზანთ სროლით.

(სამგლოვიარო მარში. უგერენ. გადიან და გააქეზ მიცვალებულნი. გარედამ მოსმის ზარბაზნის ხმა.)

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი მ ო თ ხ რ ო ბ ა ნ ი

ქანოტი და კოლინი

პოლტავის მოთხრობა

ფრანგულით ნათარგმნი

რამდენიმე სარწმუნო პირი ხედავდა ქანოტს და კოლინს ისაურის ქალაქის სკოლაში, ამ სკოლებით და ქვაბებით განთქმულს ქალაქში. ქანოტი შესანიშნავის ვირების ვაჭრის შვილი იყო და კოლინი უბრალო მეურნის შვილი, რომელიც ოთხის ჯვრით უყვლიდა თავის მამულს და მოსავლის სახლში მეტანის და სხვა-და-სხვა ხარჯის გასტუმრების შემდეგ, თავს მდიდრად ეყო ჰვებდა

ქანოტს და კოლინს ერთ-მანერთი უყვარდათ და მათს ქვეყაში სუფეველი იმნაირი მოურდებლობა და თავისუფლება შენ, რომელსაც აღტაცებით იგონებენ მომავალ-ცხოვრებაში ვედრის დროს.

მათ სწავლის დრო უთავდებოდათ, როცა ქანოტს მკერვალმა სამ-ფურის, შვენიერის ხავერდის ტანსამოსი მოუტანა. კოლინი ტანსამოსს აღტაცებაში მოჰყავდა, მაგრამ-კი არ უშურდა! ქანოტმა მედიდურობა დაიწყო. იმ წუთითგან აღარა ფერი უსწავლია; სარკეში ლამაზობდა და მთელს ქვეყანას ზიზღით უყურებდა. რამდენასამე ხნის შემდეგ ფოსტის მოსამახურომ მას მარკიზ დე-ლა-ქანოტიერის წერილი მოუტანა. მამა მას პა-ისში იბარებდა. ქანოტი ეკობაჟში ჩაჯდა და მფარველობის, მედიდურობის ღმირით კოლინს ხელი მი სცა. ამ საქცეულით დაჩაგრულმა კოლინმა ტარილი მოართო.

მკითხველებმა, რომლებსაც სუყველაურის შეგნება უყვართ, უნდა იცოდნენ, რომ ბ. ქანოტმა-მამამ უცებ აუარებელი ქონება შეიძინა. იკითხავეთ, უეჭველია, რით იძენენ ქონებას? რით და ბედით. ბ. ქანოტი კარგი მოყვანილი კაცი იყო, ვგრეთვე მის ცოლიც, რომელსაც ამას გარდა სიცოცხლეც შერჩენოდა; ისინი პარიზს წავიდნენ იმ პროცესისთვის, რომელიც მაგრამ ბედმა, რომელიც კაცს ხ.ნ უღიმის, ხან უწყურება ესენი ერთს ჯარს ჰოსპიტლის მეიჯარეს გააცნო ტაცებდა დიდის ნიჭის კაცთან რომელსაც თამამად შეეძლო დაეტრახანა, რომ მას ერთს წელიწადში იმდენი სოლდათი მოუკლავს, რამდენსაც ზარბაზანი ათში ვერ მოჰკლავს. ბ. ქანოტის

ცოლს მოსწონდა, ქანოტის ცოლი-კი ბ. მეიჯარეს; მალე ქანოტი იჯარაშიც შეუამხანავდა; მერე სხვა საქმეებსაც მოჰკიდა ხელი: როცა საქმე გაჩაღებულია, მაშინ თავი უნდა მიანებო ქონება თითონ მატულობს. ლატაევი გამტერებულის და გაკვირებულის თვლით იყურებიან: თქვენის გამდიდრების მიზეზი ვერ შეუგნიათ და სუყველაფერს შემთხვევას აწერენ, თქვენს წინააღმდეგ წერენ ბროშურებს, რომლებსაც თქვენ არც-კი კითხულობთ. პატარა ხანს უკან ქანოტი-მამა ბ. დე-ლა-ქანოტიურად გადაიქცა, ექვსის თვის შემდეგ მარკიზის ღირსებაც იყიდა და ბ. მარკიზი-მისი შვილი, სკოლითგან გამოიყვანა, რომ პარიზში რიგაიანს ხალხთან ყოფილიყო.

გულით მოყვარული კოლინი თავის ძველს ამხანავს ბოდიშით წერილებს წერდა, მაგრამ პატარა მარკიზი ყურსაც არ იბერტყავდა,—მწუხარებამ კოლინი ავად გახდა.

დედ-მამამ შვილს გუეერნერი დაუჭირა. ამ გუეერნერს, თუმცა რიგიანი გარეგნობა ჰქონდა, მაგრამ უმცრობის გამო არაფრის სწავლება არ შეეძლო. ვაჭბატონს უნდოდა, რომ მის შვილს ლათინური ესწავლა, ქალბატონს-კი არა. გასამართლება თხოვეს ერთს მწერალს, რომელიც მაშინ თავის ნაწარმოებით განთქმული იყო. სადილად დაპატიჟეს. სახლის პატრონმა დაიწყო: “ბ. რადგანაც თქვენ ლათინური იცით და განთქმული კაცი—მე, ბატონო, ლათინური?! ერთი სიტყვაც არ ვიცი და ღმერთმაკ დამიჯაროს, უბასუხა უმეკარმა განთქმულმა, კაცი მაშინ ლაპარაკობს რიგიანად, როცა ის თავის ენას სხვა უცხო ენებში არ ურევს: აი, მაგალითად ჩვენი ქალები,—ისინი ბევრად ჭკვიანები არიან ვაჭებზედ და მათი დაწერილი წერილი გაშორებით სჯობია ვაჭის დაწერილს, რათა? მათა რომ ქალებმა ლათინური არ იციან.—ხომ ხედავ! მართალი ვყოფილვარ თუ არა? თქვა ქალბატონმა, მე მინდა ჩემი შვილი ჭკუით ვატენილი იყოს, ცხოვრებაში გაიმარჯვოს და ლათინურის ცოდნით, როგორც ხედავთ, დაიღუპება, ერთი მითხარით. ლათინურად როდისმე უთამაშნიათ კომედია ან ოპერა? რამე პროცესში ლათინურად გაუმართლებიათ თავი? ან გამოუცხადებია როდისმე ლათინურად სიყვარული?”

ამ საბუთებით დაჯერებულმა ბატ. ქანოტმა დასკვნა, რომ ყმაწვილი ციცერონის, პორაციურის ვირგელიუსის სწავლაში ტყუილად დაკარგავს დროს. „მაგრამ რას ისწავლის? რადგანაც საჭიროა ჩემი ისწავლოს გეოგრაფიის სწავლა არ შეიძლება?—რის მაქნისია, უბასუხა გუეერნერმა;

როცა ბ. მარკიზი მამულის დასახელებათ წაბძენდებოდა, ხოლომე ფოსტალიონს გზა არ ეცოდინებოდა? «სინი არ დაიბნევიან; მთელს ქვეყნის შემოვლა მეტია და პარიზითგან ოვერნი წასვლისათვის რა საჭიროა გეოგრაფიულის სივანის ან სიგდის ცოდნა?—ქუთაისთან ახლო ხარ, უპასუხა მამამ, მაგრამ მე გამიგონია ერთი მშვენიერი მეცნიერება, რომელსაც, მგონია ასტრონომია ჰქვია.—რა სურვილია! განა ეინმე მოსულა ვარსკლავითგან? და განა მარკიზმა დაბნელების დროს გამოანგარიშებით თავი უნდა მოიკლას, როცა ის სუყველაფერს იპოვის ესრედ წოდებულს აღმანახში, რომელიც მას, ამას გარდა, მოძიავის უქმეების დროს, მთვარის და ვეროპის პრინციპების ხნოვანობასაც შეატყობინებს?»

ქალბატონი სრულებით გუვერნერის აზრისა იყო; პატარა მარკიზმა სიხარულით აღარ იცოდა რას ჩაღიოდა, მამა-კი ექვიანობდა: „ნაშ რა უნდა ისწავლოს ჩემმა შვილმა, თქვა მან?—იმან უნდა შეისწავლოს მოწონების ხელობა; თუ მას მოწონების საშუალება ეცოდინება, მაშინ სუყველა შეეძლება. ეს იმისთანა ხელოვნებაა, რომელსაც ის თავის დედასთან ისე შეისწავლის, რომ არც ერთი შეწუხდება, არც მეორე.“

„ცხადად ჩანს, უთხრა ქალბატონმა უმეცარს განთქმულს, რომ თქვენ მეტის მეტის განათლებული საზოგადოების კაცი ხართ; ჩემი შვილი თქვენი მოვალე იქნება თავის აზრისათვის, მაგრამ ცოტა ისტორია რომ იწოდეს, ურიგო არ იქნება.—რის გამოსადგეია უპასუხა მან; ნამდვილი სასიამოვნო და სასარგებლო დღიური ისტორიაა; მთელი ჩვენი ძველი ისტორია, როგორც ერთმა ჩვენმა მეცნიერმა თქვა, შეთანხმებული ზღაპარია და საშუალო-კი ისეთი აჩუქელია, რომ ვერაფრით დაულაგებიათ; ან არა და რათ ეპიტნავენ თქვენს შვილს შარლ დიდმა საფრანგეთში 12 პერობა როგორ დაარსაო, ან მის შვილი ბლუი იყო თუ არა.—მაგაზე უკეთ ნათქვამი არა გამიგონია—რა, თქვა მუვერნერმა; ათასის უსარგებლო საგნებით ყმაწვილს ტინის უხშობენ, მაგრამ სუყველაზე სულელური და ყმაწვილის ტინის დამხშველი მეცნიერება. ჩემის აზრით, არის გეომეტრია; ამ სასაცილო მეცნიერებას საგნად ზედაპირები (*Surface*) ხაზები, და წერტილები აქვს; უნდა ერთს წერეში (*celle*) ათასი მრუდე და ერთი სწორი ხაზი წარმოიდგინოთ, ისე რომ სწორი ხაზი მრუდეს, მცირე ოდნად ეკარებოდეს ღვთის გულისათვის მითხარით, რა წარმოსადგენია ეს, როცა სინამდვილეში, ბუნებაში ამისთანა არა არის რა, ვიმეორებ, გეომეტრია საძაგელი ღაცინის

მეტი არა ფერია. ბატონი და, ქალბატონი თუმცა ბევრი არ ესმოდათ გუვერნერის ლაპარაკისა, მის აზრისანი იყვნენ. „ბ. მარკიზისთანა კაცმა მშრალის მეცნიერების სწავლით თავი არ უნდა შეიწუხოს; თუ ოდესმე მიწის გაზომა მოუნდება, ფულითაც შეიძლება, თუ მოინდომა გაიგოს სიძველე თავის ჩამომავლობისა, რომლის დასაწყისი ძრიელ შორს არის, ბენედიკტინს მოიწვევს; ერთის სიტყვით სუყველაფერი ფულით მოხერხდება. ბედნიერად დაბადებული კაცი, არც მხატვარია, არც მემუსიკეა, არც არქიტექტორია არც სკულპტორი, მაგრამ ის თავის სიბრწყინვალეობით იმათ წარმატებას შეეწეოს. რასაკვირველია, მფარველობა ჯობია სწავლას, საჭიროა მხოლოდ ბ. მარკიზს გემოვნება ჰქონდეს განვითარებული. აი ამისათვის აქეთ საბუთი მათ, რომელნიც ანბობენ, რომ კეთილ შობილმა ხალხმა (მე ამას მდიდარს ხალხს ეუძახი) სუყველაფერი უსწავლელოთ იცისო, რადგანაც ხან-გრძლიათ ბასობენ მასზე, რასაც აკეთებინებენ და რაშიაც ფუფს აძლევენ.“

ამის მერე უმეცარმა განთქმულმა აიღო სიტყვა: „თქვენ ძრიელ კარგად შეამჩნიეთ ქალბატონო, რომ კაცის მიხანი ცხოვრებაში გამარჯვება; ერთი მითხარით ამის მიღწევა მეცნიერების ცოდნით შეიძლება? განა რიგიანს საზოგადოებაში.“

გეომეტრიაზე ლაპარაკობენ? უკითხეთ ვისთვის-მე, მზესთან დღეს რა ვარსკლავი ამოვაო?—რასაკვირველია არა, უპასუხა ქალბატონმა მარკიზ დე-ლა-ჟეოტიერმა, რადგანაც ის ცოტად თუ ბევრად იცნობდა დიდა საზოგადოებას. ბ. ჩემმა შვილმა თავის ნიჭი იმ საძაგლობით არ უნდა დაიხშოს, მაგრამ მინც რამე უნდა ისწავლოს; კარგია, როგორც ჩემი ქმარი ანბობს, როცა ყმაწვილი კაცი შემთხვევის დროს თავს გამოიჩენს მე აბატისაგან გამიგონია ერთი შესანიშნავი მეცნიერება, მხოლოდ სახელი დამავიწყდა, მგონი გ—ანით იწყება.—განით ქალბატონო? გეოდეზია ხომ არ არის?—არა, ის გეოდეზიას არ მელაპარაკებოდა; ის მეცნიერება, როგორც ვითხარით განით იწყებოდა და კ—ანით თავდებოდა—აჰ! ეხლა-კი მიხედი, ეგ ჰეროლდაკაა, კემმარიტად ღრმა მეცნიერებაა, მაგრამ, მას აქეთ, რაც ეკიპაჟების კარებზე ღერების ხატვა გადაეარდა, ეგ მოდაში აღარ არის, თორემ უამისოდ ეგ მეცნიერება განუსაზღვრელია, ეხლა-კი დალაქი არ არის, თავია ღერბი არ ჰქონდეს და მოგესტენებთ, რაც ვრცელდება მნიშვნელობა ეკარგება.“

ბოლოს, როცა ყოველს მეცნიერების მძიმე და მწალტე მხარეები აწონეს, გადაწყვიტეს, რომ მარკიზი

ცეკვას ისწავლის. ყოველი ფრის შემდეგ ბუნებამ ემაწვილი დასახუტრა ერთის შესანიშნავის ნიჭით რომელიც მალე გამოაშკარადა, — ეს ვოდვეილების ჩინებულად მღერა გახლდათ.

ქ. მარკიზმა წარმოიდგინა, რომ ის გამოჩენილის კაცის დედა იყო და პარიზის მოწინავე საზოგადოებას სადილი გაუხუტა.

ემაწვილს კაცს თავი ავირია; ლაპარაკს მიეჩვია და ყურის გდებას არა. დაინახა რა შეიღის ასეთი არა მკითხა მჭერ-მეტყველობა, მამა ძრიელ ნაწიბდა, რომ ლათინური არ ასწავლა შეიღს, რადგანაც ლათინურის მკოდნემ უმეცარის განთქმულს სიტყვით, ცოტა ლაპარაკი იცის: დედა-კი, რადგან უფრო კეთილ-შობილი მოსწარაფება ჰქონდა, შეიღს ბოდის ხდიდა ამასობაში აკრძალული ნაყოფიც იხილა და კაცს ეს უფრო ძვირად უჯდებო, ვიდრე სხვა რამე; ფულის ხარჯვას გაუსვა ხელი იმ დროს, როცა მის მშობლები ცდილობდნენ კეთილ შობილურად ეცხოვრათ.

ერთს ახალ-გაზდა ქერიც ქალს, რომელსაც ძრიელ შესუსტებულა ქისა ჰქონდა, უნდოდა ბ. და ქბ. დელა-ქანოტიერების ქონება დაღუბისაკენ დაეფარა და მერე, პატარა მარკიზის შერთვით, მის ხელში მოეგდრა ქალმა ემაწვილი მიიჩვია, შეეყვარა თავი და აგრძობინა, რომ ის მას გულ-გრილიად არ უყურებს, აღტაცებაში მოიყვანა და ბოლოს აღიეღად დაიპარა; ხან აქებდა, ხან საჩხევს აძლიედა და ამეც დროს ემაწვილის მშობლებს უახლოვდებოდა. ერთმა ხანში შესულმა მეზობელმა ქალმა ემაწვილის მშობლებს ქარწინების სიტყვა ჩამოუვდო; ისინი ამი თანა ბრწყინვ ღე კაწინით გტაცებულნი, სიხარულით დათანხმდნენ.

ემაწვილი მარკიზი ირთავდა ქალს, რომელსაც თავიანს ცემდა; მეგობრები ულოცავდნენ; ქორწილისთვის მზადება დაიწყეს, შეიქნა მისელა-მოსვლა, კაბების კერვა და სხვანა.

ერთს დილას თავის დანიშნულის წინ დამოქილი მარკიზი, ტყბილი ბასით მომავალს ბედნიერების დასაწყისს იგემებდა ისინი თავის მომავალს ცხოვრებისათვის ჰფიქრობდნენ; უცებ ქბ. მარკიზის მოსამსახურე, ოფელში გახეთქილი შემოეარდა, „აი ახალი ანბავი, სთქვა მან: ბოკაულები და ქალბატონის სახლს ცლიან და სუყველაფერს მოვალეებს აძლიევენ, დაჰყეების თაობაზედ ლაპარაკობენ და მე ვცდილობ ჩემი ჯამაგირი როგორმე მივიღო. — ენახოთ, თქვა მარკიზმა, რა არის! — კი, უთხრა ქერიცმა, წადით დასაჯეთ ის საძაგლები, წადით მალე:“ გაიქცა; მივიდა

სახლში; მამა მისი დატყვევებული იყო უკვე; ყველა მოსამსახურე თავისთვის ხონმარკობდა და რაც შეეძლო ის მიჰქონდა; დედა-მისი ცრემლებს იღვრიდა; მას სიმდიდრის, სიბოროტის, ახირეზულის ხარჯვის ხონის მეტი არა ფერი შერჩენოდა.

დიდის ხნის ერთადტირის შემდეგ შეიღმა უთხრა დედას: „სულით ნუ დავეცემით; იმ ახალ-გაზდა ქერიც გაგიყვებით ეუყვარვარ და ის უფრო გულ-უხვია, ვიდრე მდიდარი; მასთან მიედივარ და შენს წასაყვანად კ მოვალ.“

საყვარელთან დაბრუნდა და ის ერთს ემაწვილს კაცთან ერთად ნახა: „როგორ! თქვა ქერიცმა, თქვენა ხართ, ბ. დელა-ქანოტიერო, რისთვის მოსულხართ აქ? განა ვგრე ტოვებენ დედას? წადით იმ უბედურს ქალთან და უთხარი, რომ მე მისთვის კეთილი მსურს; მოსამსახურე მიქრდება და თუ უნდა მას უბირატესობას მიეცეკ. — ჩემო ძმაო, უთხრა მის საყვარელთან მყოფმა ემაწვილმა კაცმა, ნენ ძრიელ მოტყუებულნი უნდა იყო, თუ გინდა ჩემს კომპანიში შემოადი — ადგილს მოგეკ.“

გულ-გაცეცხლებული, გაცოფებული მარკიზი თავის ძველის გუეერნერის საქებრად წავიდა, უამბო თავის ამბავი და რჩევა თხოვა. იმან ბავშვების გუეერნერის ხელობის აღება უჩიო: „საუბედუროდ არა ფერი ვიცი, თქვენც არა ფერი მასწავლეთ და მარტო ქთვენ ხართ ჩემი მოვალე და უბედურმა ემაწვილმა კეთიანი დაიწყო, — რომანები წერეთ. შეგნიერი ხელობა პარიზში, უჩიო ერთმა იქ მყოფმა კუეს კოლოფმა.

უფრო სასოწარკვეთილი ემაწვილი კაცი დედის მოძღვართან წავიდა. ეს ერთობ შესანიშნავი ბერი იყო, მხოლოდ ქალებს აქცევა ყურადღებას. დაინახა თუ არა ემაწვილი, მაშინვე მიმართა: — ოჰ, ღმერთო ჩემო! ბ. მარკიზო, სად არის თქვენი ეტლი? როგორ ბრძანდება პატრე-საცემი ქ. მარკიზი? ემაწვილმა თავის ოჯახის უბედურობა უამბო, რაც უფროც იგებდა, რაში იყო საქმე ბერი უფრო რიხიანად უყურებდა ემაწვილს კაცს და ბოლო უთხრა: „ჩემო შეიღო, სიმდიდრე მხოლოდ გული გასახეთქი! ხომ ღმერთმა უწყალობა დედა-თქვენს და ღმერთმავე გააღატაკა? — დიად ბატონო. — ეგ უკეთესი, მას ეხლა ცხონების იმედი უნდა ჰქონდეს? მაშინმე ხალხის მიშველების იმედი არ უნდა ჰქონდეს ნახევადის ჩემო შეიღო; კარის ქალი მიცდის.“

მარკიზი სიკვდილს ნატრულობდა; ყველა მის ამხანაგები და მეგობრები იმ ნაირად სჯიდნენ, როგორც სხვები, ისე რომ ამ ერთს დღეში უფრო კარ-

ვალ გაიყვნო ქვეყნიერება, ვიღრმე მთელს თავის სი-
ცოცხლეში.

ამ შუარე ფიქრებში გართულობა ყმაწვილიმა შეამ-
ჩნია, ერთი ძველებური ორ ალაგიანი ეტლი, გადა-
ჩარდახებულის ურემის მსგავსად და ოთხი დატვირ-
თული ურემი. ეტლში მდიდრულად ჩაცმული ყმა-
წვილი კაცი იჯდა; მის რგვალი და სუფთა პარის სა-
ხე სიწყნარით და ყმაყოფილად გამოიყურებოდა;
შეპყრილს მარკიზს შინჯავდენ: „ოჰ, ღმერთო ჩემო!
დაიძახა ვაჟმა, ეს, მგონი, ჟანოტია“ ამ სახელზე მარ-
კიზმა აიხედა; ეჭლი გაჩერდა: „ეს თითონ ჟანოტია
ჟანოტი, ჟანოტი!“ ერთის თვალის დახამხამებაში ის
ჟანოტთან იყო დაეხვეწა. ჟანოტმა კოლინი იცნო
და სიუცხვილმა და ტრემლებმა დაფარეს მის პარის
სახე; „შენ მე მიმატოვე, თქვა კოლინმა, დიდ კაცო-
ბისათვის, მაგრამ სუყოველთვის მეყვარები.“ შერცხვე-
ნილმა ჟანოტმა ტირილით უამბო თავის ისტორიის
ერთი ნაწილი. „წამოდი ჩემს სადგურში და დანარ-
ჩენი იქ მიამბე, უთხრა კოლინმა; მოეხვიე ჩემს ცოლს
და სადილის საკმელად წავიდეთ.“

სამივე ფეხით წავიდენ და ბარგი უკან მისდევ-
დათ.—ვისი რა არის ეს! თქვენია? კი ჩემი და ჩემის
ცოლი აა, ჩვენ სოფლიდან მოვიდვართ; იქ მაქვს
ერთი რკინის და ერთი სპილენძის ქარხანა; ერთის
შეძლებულის ვაჭრის ქალი შევირთე და ღვთის მად-
ლით ჩვენი საქმე კარგად მიდის და ყმაყოფილებიც
ვართ. შენც გიმეყლით; შე დალოცვილო, მარკიზი
ნულარ იქნები: წამოდი ჩემთან სოფელში, ხელობა
ისწავლე და წილს მოგცემ და ჩვენ მზიარულად ვი-
ცხოვრებთ იქ, საცა დაბადებულები ვართ. მთელს
ქვეყნის სიმდიდრე ერთს მეგობრად არა ღირს.“

ჟანოტმა ირ იცოდა რა ექნა—ემზიარულა, თუ
ეწუხნა; ბოლოს დაბალის ხმით თქვა: „ყველა ჩემმა
ვითომ-და მეგობრებმა გაჭირვებაში მიმატოვეს და
კოლინი-კი, რომელსაც ზიზლით ეუყურებდი, ჩემს
სამეველად მოვიდა, რა გულკეთილია!“ კოლინის კე-
თილმა გულმა გააღვიძა ჟანოტში ის ნასახი, რომ-
ელიც ჯერ ცხოვრებას არ დაეხმო—მან იგრძნო,
რომ მშობლებს ვერ მიატოვებდა.—ჩვენ დედა-შენ-
საც მოუუვლით, თქვა კოლინმა და რაც შეეცება
მამა-შენს, რომელიც ეხლა ციხეშია, დავიცადოთ პა-
ტარა; მის მოვალეობი, რა-კი მიხედვებთან, რომ მას

ვალის გადახდა არ შეუძლია, ცოტას დაკმაყოფილდე-
ბიან. სუყოველთვის გაკეთებას მე ეტვირთულობ.“

კოლინი იმდენი ეცადა, რომ მამა ციხითგან გა-
მოიყვანა, ჟანოტი თავის მშობლებით სამშობლოში
დააბრუნა და ხელობას მიუჩინა.

ჟანოტმა შეიერთო კოლინის და, რომელიც სი-
კეთითა ძრიელ ჰგავდა თავის ძმას.

ჟანოტებმა—დედამ, მამამ და შეიღმა იგრძნეს,
რომ ზედნიერება სიმდიდრეში რადი ყოფილიყო.

3. ყიფიანი.

რედაქტორ-გამოცემელა ვ. აბაშიძე.

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა ნ ი

დედა-ენა

ანუ ანბანი და პირველი სა-
კითხავი წიგნი, მახსოვ ბამოსემა, შეცვლილი
და შევსებული, დაიბეჭდა და ისუიდება გამოც-
ემელის გრიქუროვის მაღაზიაში. ამ ახალის
გამოცემის ანბანი თითქმის ხელ-ახლად არის
შედგენილი და მასში ჩამატებულია საწერი დე-
დანი, პირველ ხანში სახმარებელი. პირველი
საკითხავი წიგნი შევსებულია ახალი საგარჯიშო-
ებით, მოთხრობებით, დექსებით და სურათე-
ბით, გარდა ამისა შეცვლილია რედაქცია ზო-
გიერთა წინანდელი მოთხრობისა და დექსები-
სა. წიგნის პეორე—სადმართო ნაწილი იპურობს
პირველის წლის კურსსა ორივე ადოქმას მოთ-
ხრობისას, სურათებს ს. სადმართო მოთხრობები
თავდება წმიდა ნინოს ცხოვრების და მოქმედების
მოკლე აღწერით, რომელიც სურათით არის
შემკობილი. წიგნი წინანდელს გამოცემაზე ერ-
თი თაბახი, იუნ 32 გვერდით, დიდია, მაგრამ
ფასი კი შეუცვლელად ერის დარჩენილი. გამა-
ცემელი გრიქუროვის მაღაზია იმყოფება კუკიის
ნიდის კურთან, ბადის პირ-და-პირ. (5—3)